დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი № 14

25.11.2019 წელი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 25 ნოემბერს 11: 00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ აფრასიძე

მდივანი: ლომა გადრანი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1: თეიმურაზ აფრასიძე

2: გეგი უმფრიანი

3: აიდინ შარიფოვი

4: ზაურ გრიგალაშვილი

5: შოთა აკობაშვილი

6: ემილ იბრაგიმოვი

კომისიის სდომას ესწრებოდა:

კომისიის სხდომას ესწრება კომისიის 6 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. **დმანისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №50 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს:

თეიმურაზ აფრასიძე - 1 დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტებში შესატანია შემდეგი ცვლილება: დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა ჭარბი შემოსავლებიდან გაიზარდა 565000 ლარით, აქედან თანხები გადანაწილდა შემდეგნაირად:

პუქტ -2-ს დაემატა 65085 ლარი (ქ. დმანისში სოფ განთიადამდე გზის გასწვრივ და ვ. ბატონიშვილის და 300 არაგველის ქუჩების მიმდებარედ შემოღობვის სამუშაოები) პროექტის დაზუსტების შემდგომ,

პუნქტ-3 -სა დაემატა 180000 ლარი ქ. დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე (82.01.45.007) სარიტუალო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ფარდულის ასაშენებლად.

პუნქტი -7 გაიზარდა 290331 ლარით დამატებით პროექტების შესაძენად.

პუნქტ 8-ს დაემატა 3482 ლარი კამერების დასამონტაჟებლად 6 ბოძის შეძენა მონტაჟისთვის

პუნქტი 13 გაიზარდა 26102 ლარით, დამატებითი სამუშაოებიდან გამომდინარე.

პუნქტი-17 სოფ პატარა დმანისში მდინარე ფინეზაურზე მდებარე არსებული ხიდის რეაბილიტაციის თანხა 20000 ლარი გადადის პუნქტ 7-ში საპროექტო-სახარჯთარრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად

1. აზრი გამოთქვეს: ზაურ გრიგალაშვილმა , გეგი უმფრიანმა და შოთა აკობაშვილმა განსხვავებული აზრი არ დაფიქსირდა.

1. დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

კომისიის თავმჯდომარე: **თ. აფრასიძე**

მდივანი: ლ.გადრანი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომებში მონაწილეობის აღრიცხვის ფურცელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. თეიმურაზ აფრასიძე
2. ნიაზ მაჯითოვი (საპატიო)
3. გეგი უმფრიანი
4. აიდინ შარიფოვი
5. ზაურ გრიგალაშვილი
6. დავით მენაბდიშვილი (საპატიო)
7. შოთა აკობაშვილი
8. ემილ იბრაგიმოვი

კომისიის თავმჯდომარე:

თ. აფრასიძე

თარიღი:25.11.2019 წ.